

ახალი სარსაული

№311 (03), 8 თებერვალი, 2016 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების ახსურდულ ბრალდებას პასუხობს



წარმომადგენლები ალბათ დიდხანს იკვლევდნენ ხარაგაულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რათა მასში ხარვეზები ეპოვათ. თუმცა, საინტერესოა, რომ 19 მილიონი ლარის ღირებულების პროექტებში, მათ შორის 900 ლარისა და 5 ათასი ლარის პროექტებს აღმოუჩინეს ვითომდა ხარვეზები.

აკაკი ბობოხიძე აცხადებს, რომ სოფელ თეთრანყაროში წყლის სათავე ნაგებობა უფრო დაბალზეა, ვიდრე მიმდებარე რეზერვუარი. განმარტებისთვის - ამ ფორმითაც არის შესაძლებელი წყალი მიიწოდოს რეზერვუარს. არსებობს თანამედროვე წყლის საჭიჭი ტუმბო, რომელიც რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე აიტანს წყალს და ასეც ვეგემავთ, რაც პრობლემას არ წარმოადგენს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრანყაროში „სოფლის მხარდაჭერი პროგრამის“ ფარგლებში, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით წყლის სისტემა მოეწყო. პროექტის ფარგლებში გაკეთდა წყლის სათავე ნაგებობა და წყლის საცავი რეზერვუარი. პროექტის ღირებულება 14 ათასი 995 ლარია და ის წყლის დებეტის ნაკლებობის შემთხვევაში, სოფლისათვის დამატებითი რესურსის მისაწოდებლად განხორციელდა. სოფელ თეთრანყაროში ამჟამად სასმელი წყლის ხუთი მოქმედი და ერთი სარეზერვო ავზი ფუნქციონირებს. სოფელს ამ ეტაპზე წყლის მიწოდების პრობლემა არ გაჩნდა.

2011 წელს ლაშის ადმინისტრაციული ერთეულში ავღანეთში მმართველ და დღემდე ჯარისკაცის მემორიალური დაფა დაიდგა. 2015 წელს „სოფლის მხარ-

დამჭერი პროგრამის“ ფარგლებში ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცის მემორიალისათვის მოეწყო დეკორატიული ღობე. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლინდა ხარვეზი შესრულებულ სამუშაოში, რის გამოც შემსრულებელს მკაცრად მიეთითა ხარვეზის გამოსწორება. შემსრულებლის განცხადებით, მითითება შესრულებული იქნება უახლოეს დღეებში პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნის (დეკორატიული მავთულბადის მონყობა) შესაბამისად.

რაც შეეხება კიდევ ერთ ბრალდებას - 2015 წლის ნოემბრის სტიქიის შედეგად სოფელ ლევანში მწყობრიდან გამოვიდა ხიდ-ბოგირი, რომელიც მდინარე ლევანულაზე გადის და, რომლითაც მოსახლეობა სოფლის სახანჯ-სავარგულებს და საძოვრებს უკავშირდება. ნოემბრის სტიქიის შედეგად მიღებული ზარალის აღმოსაფხვრელად ცენტრალური ხელისუფლებისგან, მუნიციპალიტეტისათვის 145 ათასი ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხიდან სოფელ ლევანში მცირე გამავლობის ხიდ-ბოგირი მოეწყო, ამისათვის 4 777 ლარი დაიხარჯა. სამუშაოები პროექტით განსაზღვრულ ვადებში განხორციელდა. ამ დროისათვის ხიდ-ბოგირი გამართულია და მას სოფლის მოსახლეობა საჭიროებისამებრ იყენებს. რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის მიერ ჟურნალისტებისათვის წარდგენილ ფოტო მასალებს, იგი სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე გადაღებული და ხიდ-ბოგირის ამჟამინდელ მდგომარეობას არ ასახავს.

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დამატებით მინდა ვაცნობო, რომ მათგან წლების განმავლობაში უყურადღებოდ მიტოვებული ხარაგაულის მოსახლეობა კარგად ხედავს ვინ ანგრევდა მათ მომავალს და ვინ აშენებს!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი www.kharagauli.ge „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-საქართველოს“ მიერ ერთ-ერთ გამჭვირვალე და ინფორმაციულ ვებ-გვერდად სახელდება

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ იმერეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის კვლევას აქვეყნებს. კვლევაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი www.kharagauli.ge ერთ-ერთ გამჭვირვალე და ინფორმაციულ ვებ-გვერდად სახელდება.

ვებ-გვერდების შეფასების კრიტერიუმებსა და მონიტორინგის შედეგებში წერია: „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე სრულად არის მოცემული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის პირველი პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ, მათი ბიოგრაფიული და საკონტაქტო მონაცემები, ასევე 2014-2015 წლის ბიუჯეტი - საბიუჯეტო ცვლილებების მითითებით. მნიშვნელოვანია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტი არის ერთადერთი მუნიციპალიტეტი, რომლის ვებ-გვერდზე განთავსებულია საკრებულოს საქმიანობის შესახებ ანგარიში. გარდა საკრებულოს საქმიანობის შესახებ ანგარიშისა, ვებ-გვერდზე ასევე მოცემულია საკრებულოს ცალკეული ინფრასტრუქტურისა და კომისიების, გამგეობის ფინანსური და კეთილმოწყობის სამსახურის საქმიანობის შესახებ

ანგარიშებიც. მისასაღებელია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე აქტიურია სიახლეების გამოქვეყნების კუთხითაც“ - წერია კვლევაში.

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის გამგეობის ცხელი ხაზის შესახებ ინფორმაციის განთავსების კუთხით განსაკუთრებულად გამოყოფს. „ამ მხრივ, საყურადღებოა ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, რომელსაც ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია ცხელი ხაზის შესახებ. მითითებული აქვს ასევე, როგორც მოქალაქეთა მისაღების, ასევე საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ცხელი ხაზის მუშაობას დაელოდა აფასებს და წერს: „იმის დასადაგენად, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს მუნიციპალიტეტის ცხელი ხაზი, დაუკავშირდით თითოეულ მათგანს და მოვიხილოთ ინფორმაცია 2016 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით. საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში მოგვანოვრის ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია“.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 2015 წელს სუსილური პროგრამაზე ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დახარჯა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამაზე 12 თვის მონაცემებით 636 931 ლარი დახარჯულია.

აღნიშნული თანხიდან 540 631 ლარი ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 14 პროგრამის განხორციელებლად გამოიყო. ჯამში გამოეხატა დაეხმარა 2 809 ადამიანს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კობა ლურსმანაშვილის განცხადებით, სოციალური პროგრამაში 2016 წელსაც გაგრძელდება.

გამგებლის განმარტებით, მიმდინარე წელსაც გათვალისწინებულია ოპერაციების, სამედიცინო მომსახურების, სამედიცინო კვლევების, მედიკამენტოზური, სარიტუალო, შპმ პირების, ახალშობილთა ოჯახების, 100 წელს გადაცილებულთა სადღესასწაულო, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებები.

სკორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თანამშრომლის პიკაპაზე მოაღვივებ შოთა ხაბარელა ბორითელ ბავშვებს სარეზერვუარი წყლის მიწოდებას



ახალგაზრდობის უკეთეს მომავალზე ფიქრი ყველა ადამიანის განუყოფელი საზრუნავი რომაა, ამის შესატყვისი ფაქტი უამრავია ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაშიც. კარგა ხანია, აქამდე „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის“ მუნიციპალური ცენტრის ბაზაზე ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭიდაობის წრე ფუნქციონირებს (ხელმძღვანელი ლევან დონაძე). ბორითელი ახალგაზრდობის დაინტერესება სპორტის აღნიშნული სახეობით საქამოდ მაღალია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ წერტონა ძალზე მოძველებულ ლეიბებზე უხდებოდათ. ბორითის მათორიტარმა დეკრეტატმა, ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ, ამ პრობლემის მოგვარებისთვის აქტიურად დაიწყო მუშაობა და თხოვნით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ

საქმეთა კომიტეტის თანამშრომლის პიკაპაზე მოაღვივებს, ცნობილ ძიუდოსტს, უამრავი სპორტული ჯილდო-რეგალიის მფლობელს, ბატონ შოთა ხაბარელსა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ შალვა გოგოლაძეს მიმართა.

ბატონი შოთა ინტერესით მოეკიდა ამ მნიშვნელოვან საკითხს და სულ მოკლე ხანში ბორითელმა ახალგაზრდებმა საჩუქრად 20 ახალი ლეიბი მიიღეს. ასეთი კეთილი და საქველმოქმედო საქმის კეთებისათვის და ახალგაზრდობის მიმართ ესოდენ დიდი გულისხმიერებისათვის, ხარაგაულის საკრებულოს თანამშრომლის მოადგილე, ბორითის მათორიტარი დეკრეტატი მანანა ბარბაქაძე, ბორითელი ახალგაზრდებისა და ბორითის მთელი მოსახლეობის სახელით დიდ მადლობას უხდის ბატონ შოთა ხაბარელსა და ბატონ შალვა გოგოლაძეს. „მნამს, რომ ეს ადამიანები მრავალ კეთილ საქმეს გააკეთებენ არა მარტო ხარაგაულში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ასეთი დამოკიდებულება კი ახალგაზრდებს უფრო დიდ სტიმულს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენაში. დარწმუნებული ვარ, თუ ყოველგვარი ხელშეწყობის საშუალება მოიძებნება, ბორითელი ახალგაზრდები ნამდვილად იტყვიან თავიანთი საქმის სპორტის ამ სფეროში“-დასძინა ქალბატონმა მანანამ ჩვენთან საუბარში.

ხარაგაულში 2016 წელს მილიონ ლარზე მეტი საბავშვო ბავშვის შენახვაზე დაიხარჯება

2016 წელს ხარაგაულში საბავშვო ბავშვის მშენებლობა ისევ პრიორიტეტად რჩება. წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაბის N2 საბავშვო ბავშვის, ხევის, ღორების, მოლითის და ნიფის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა სარეაბილიტაციოდ 400 000 ლარამდე თანხა გამოიყო. აღსანიშნავია, რომ რგფ-დან დაფინანსებულ პროექტებში მუნიციპალიტეტმა (თითოეულ პროექტზე) 5%-იანი თანადაფინანსება უნდა გაიღოს.

N2 საბავშვო ბავშვი - 139 251 ლარი;
ნიფის საბავშვო ბავშვი - 96 799 ლარი;
ხევის საბავშვო ბავშვი - 88 710 ლარი;
მოლითის საბავშვო ბავშვის რეაბილიტაცია - 26 593 ლარი;

ღორების საბავშვო ბავშვი - 42 045 ლარი;
გარდა ამისა საბავშვო ბავშვის მშენებლობა იგეგმება სოფელ დიდვაკესა და სალანძილში. აღნიშნული პროექტები მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდება. როგორც ჩვენთან საუბარში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, ირმა სეზისკვერაძემ, აღნიშნა, სალანძილისა და დიდვაკის საბავშვო ბავშვები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება.

სალანძილის საბავშვო ბავშვის მშენებლობისთვის 538 801 ლარი დაიხარჯება, დიდვაკის საბავშვო ბავშვის მშენებლობა კი, 327 521 ლარით დაფინანსდება.

გასული 3 წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 8 ახალი საბავშვო ბავშვი აშენდა. პროექტები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ცხელი ხაზის სერვისი ფუნქციონირებს



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უკვე რამდენიმე თვეა ცხელი ხაზი ფუნქციონირებს. აღნიშნული სერვისით მოსახლეობას საშუალება აქვს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო თემებზე.

0433-223-225 ეს ცხელი ხაზის ნომერია, რომელზე დარეკვაც შეგიძლიათ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

ქვირფასო ხარაგაულელებო! გაქვთ პრობლემა, რომლის გადაჭრაშიც საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის ჩარევა? გინდათ შორი მანძილის გამოვლენა ინფორმაციის მისაღებად? ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე შეგიძლიათ დარეკოთ და მიიღოთ ამომწურავი პასუხები კითხვებზე. ცხელი ხაზის სერვისი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სწორედ მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით ამოქმედდა.

გვერდი მოამზადა იანა შავიძემ

რა პრობლემა ისაუბროს დაპუტატებმა საქართველოს სხდომაზე

1 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა დასახლებების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ იმსჯელეს, რაც ითვალისწინებს სოფლის რჩეულის წარდგენას, რომელიც გამგეობასა და მოსახლეობას შორის იქნება შუამავალი და პასუხისმგებელი.

საკითხის განხილვას დეპუტატებს შორის ხმაური მოჰყვა. ნაწილმა მიიჩნია, რომ აღნიშნული ინსტიტუტის დამკვიდრება ზედმეტი რგოლი იქნება. მათი განმარტებით, არაეფექტურობას გამოიწვევს ის ფაქტი, რომ აღნიშნული პოზიცია ანაზღაურებადი არ არის.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის, თქმით, მსგავსი ნაბიჯების გადადგმა

გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის, არჩილ ლურსმანაშვილის თქმით: „ლი ესტრადაზე სამუშაოები ზამთარში შესრულდა, კედლები სათანადოდ არ იყო გამშრალი, ამინდის გაუმჯობესების შემდეგ კომპანია, რომელმაც ეს სამუშაოები შეასრულა, ვალდებულია ხარვეზები გამოასწოროს. რაც შეეხება წყლის ჩამოსვლას, სახურავის შეცვლა პროექტში არ ყოფილა გათვალისწინებული“.

საკუთარი აზრი დააფიქსირა საკითხთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა: „თქვენი მხრიდან უხარისხოდ შესრულებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე საუბარი სამარცხვინოა. წლების განმავლობაში არაფერი გააკეთებიათ და თუ რამე გააკეთეთ, ისიც უხარის-



ხელს შეუწყობს გამჭვირვალობასა და უფრო მეტად დემოკრატიული გარემოს ჩამოყალიბებას. მისივე განმარტებით, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების პერიოდში საზოგადოების აქტიურობა აუცილებელია. ეს ინსტიტუტი ხელს შეუწყობს მეტ საჯაროობას, ანაზღაურება მთავარი არაა. მთავარია მოტივაცია და საერთო საქმეზე ფიქრი. სოფლებში ნამდვილად აქტიური მოსახლეობა გვყავს. კარგია, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობს. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობები ნაწილდება. ჩემთვის კარგად გასაგებია, თუ რატომ ეწინააღმდეგება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ამ ინსტიტუტის შექმნას. მათ დროს საზოგადოების ჩართულობით არ ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება. სოფლებში საერთო კრებებს რომ აწყობდნენ, კრების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ მათი პარტიის მხარდაჭერაზე ამცნობდნენ და, რაც თავად სურდათ, იმას აკეთებდნენ. ეს დრო დასრულდა. დღეს ყველას აქვს საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა“ - დასძინა ვარლამ ჭიპაშვილმა.

ხოვ. თქვენი ძალადობრივი რეჟიმის პირობებში იშვიათად ბედავდა ადამიანი პრობლემებზე საუბარს და ვინც ხმას ამოიღებდა, მათაც ებრძოდით. დღეს კი ხმაშალა აკრიტიკებით ხელისუფლებას, რაც იმის დასტურია, რომ ჩვენი ხელისუფლება დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობს. შეგიძლიათ ისაუბროთ პრობლემებზე, მაგრამ ის, რაზეც თქვენ დღეს საუბრობთ, სიმართლეს არ შეესაბამება. თემა თქვენ მიერ არის პოლიტიზირებული და რეალური შედეგი არც განიტერესებთ“ - მიმართა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ქეთევან ზუმბაძეს.

საკრებულოს სხდომაზე ნადაბურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მიხეილ გელაშვილმა, ნადაბურში საბავშვო ბაღის აშენების აუცილებლობაზე ისაუბრა. მან ნადაბურში რეგისტრირებული 33 ბავშვის დაბადების მონიშნა წარმომადგენელმა. მიხეილ გელაშვილმა დეპუტატებს თხოვნით მიმართა, ერთობლივად მოეზადებინათ წერილი და მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ნადაბურში საბავშვო ბაღის აშენებისათვის მიემართათ.

სხდომის დასასრულს ბაზალეთის გარე განათებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე განცხადება გააკეთა მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა.

„ხშირ შემთხვევებში ბაზალეთში გარე განათების ქსელი გამორთულია. ვითარების გასარკვევად დაუუკავშირდი ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმონყობას“. მათ განმარტეს, რომ ნათურები უხარისხოა და ხშირად შეცვალეს. ამ პროექტის განსახორციელებლად ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმონყობას“ 17 000 ლარი ჩაერიცხა და აღნიშნულ პრობლემასთან გასამკლავებლად მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვრება. დაზიანებული ნათურები უნდა შეიცვალოს და შედარებით ხარისხიანი დამონტაჟდეს. აღმასრულებელ ხელისუფლებას მიემართავ თხოვნით, შექმნას სპეციალური ჯგუფი და ეს საკითხი შეისწავლოს, რათა სოფელში გარე განათების პრობლემა მოგვარდეს.“

ბარიანა პურჯალიანი



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2016 წელს სოციალური პროგრამების მიმართულებით ნახევარ მილიონ ლარზე მეტს დაიხარჯა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2016 წელს სოციალური პროგრამების მიმართულებით ნახევარ მილიონ ლარზე მეტს დაიხარჯა დაგეგმილი. გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის, ნანა კიკნაძის, ინფორმაციით მიმდინარე წლის სოციალური პროგრამები შემუშავებულია და მასში ძირითადად იმ პრობლემების მოგვარებაა გათვალისწინებული, რომელიც ხარაგაულის მოსახლეობას ყველაზე მეტად ესაჭიროება.

მიმდინარე წლის ბიუჯეტით მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისათვის მთლიანობაში 687 000 ლარია გათვალისწინებული. აღნიშნული თანხიდან სოციალურ პროგრამებზე მიმართულია 646 000 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალ მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. ასევე სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო, ფინანსური და სხვადასხვა სახის დახმარებისათვის 487 00 ლარი გაიხარჯება. პროგრამა უზრუნველყოფს ოპერაციებისა და სამედიცინო კვლევების თანადაფინანსებას იმ თანხის 50%-ით, რომელიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000-ს, 70%-მდე თანადაფინანსებას, ოპერაციებისთვის 700 ლარის ფარგლებში, სამედიცინო კვლევისთვის — 500 ლარის ფარგლებში. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერად დახმარებას, რომლის ზედა ზღვარი განისაზღვრა 300 ლარით. დახმარება გაეწევა ასევე უკიდურესი გასაჭირის მქონე ბენეფიციარებს. მიმდინარე წელსაც იმოქმედებს

დაღუპულთა დედების ფინანსური ან მატერიალური მხარდაჭერა. მუნიციპალიტეტი წელსაც გაუწევს დახმარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახებს, რომლებიც ვერ მოხვდნენ სახელმწიფო პროგრამაში.

უსინათლოებსა და სამამულო ომის ვეტერანებს კომუნალური ხარჯის დასაფარავად ყოველთვიურად გაეწევათ დახმარება 30 ლარის ოდენობით. რაც შეეხება ახალშობილთა ოჯახებს, მათ დასახმარებლად მიმდინარე წლის ბიუჯეტში 40 000 ლარია გათვალისწინებული. პროგრამის ფარგლებში, ოჯახს პირველი ბავშვის შეძენისას გადაეცემა -100 ლარი, მეორე ბავშვის შეძენისას -150 ლარი, მესამეზე-200 ლარი, მეოთხეზე-250 ლარი, მეხუთეზე-300 ლარი, და ა.შ. ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას. ხოლო ტყუპების შეძენის შემთხვევაში-500 ლარი.

ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვისათვის 2 000 ლარია გამოყოფილი. ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება შეადგენს-250 ლარს.

სტიქიით დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დასახმარებლად მიმდინარე წელს 30 000 ლარია გამოყოფილი. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახთა ერთჯერადი დახმარება დაზიანების ხარისხის მიხედვით განისაზღვრება. დაზარალებულების საცხოვრებელს კომისიის წევრები ადგილზე ათავსებენ, შეისწავლიან და ანიჭებენ კატეგორიას.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სათნოების სახლი“, რომელიც 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით 87 000 ლარის დაფინანსდა. „სათნოების სახლი“ კვირაში ექვსი დღე 70 ბენეფიციარს ემსახურება. მათ რიცხვში არიან სოციალურად დაუცველები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, მოხუცები და მრავალშვილიანი ოჯახები. სასაბავშვო მუშაობს ყველა სადღესასწაულო დღეს და დღესასწაული აღინიშნება მცირედი საჭურჭლებით. **ბარიანა პურჯალიანი**

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსების დირექტორებთან შეხვედრა გაიმართა



4 თებერვალს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში შპს „საგანმანათლებლო საკონსულტაციო ჯგუფის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას რესურსცენტრის უფროსი, დათა კიკნაძე და ხარაგაულის საჯარო სკოლის დირექტორები ესწრებოდნენ.

როგორც სამართლებრივ მომსახურებას გაუწევს კომპანია სკოლას და რა შედეგს აღნიშნულ სამართლებრივ მომსახურებაში ეს იყო შეხვედრის ძირითადი თემა, რომლის შესახებაც „საგანმანათლებლო საკონსულტაციო ჯგუფის“ დირექტორის მოადგილემ, ია ქურდიემ ისაუბრა.

შეგახსენებთ, რომ „საგანმანათლებლო საკონსულტაციო ჯგუფი“ საკონსულტაციო-იურიდიულ მომსახურებას ახორციელებს. კომპანია საქართველოში მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებაში ეხმარება. ჯგუფი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციისათვის განათ-

მაცხოვრის შობის სახელობის საგანმანათლებლო საშუალებაში ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმონყობის“ თანამშრომლები მონაწილეობდნენ

4 იანვარს დაბაში მშენებარე მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძრის სამშენებლო სამუშაოებში ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმონყობის“ (დირექტორი თეიმურაზ ფურცელაძე) თანამშრომლები მონაწილეობდნენ. მათ თაღების არმირების სამუშაოები შეასრულეს, რომლის შემდეგაც თაღებზე დაიხსნევა ბეტონი და დაიწყება გუმბათის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ „ხარაგაულკეთილმონყობის“ თანამშრომლები სიმბოლურად 1 ლარს ყოველთვიურად რიცხვ-ვენ ტაძრის მშენებლობის ფონდში.

დაღუპულთა დედების ფინანსური ან მატერიალური მხარდაჭერა. მუნიციპალიტეტი წელსაც გაუწევს დახმარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახებს, რომლებიც ვერ მოხვდნენ სახელმწიფო პროგრამაში.

უსინათლოებსა და სამამულო ომის ვეტერანებს კომუნალური ხარჯის დასაფარავად ყოველთვიურად გაეწევათ დახმარება 30 ლარის ოდენობით. რაც შეეხება ახალშობილთა ოჯახებს, მათ დასახმარებლად მიმდინარე წლის ბიუჯეტში 40 000 ლარია გათვალისწინებული. პროგრამის ფარგლებში, ოჯახს პირველი ბავშვის შეძენისას გადაეცემა -100 ლარი, მეორე ბავშვის შეძენისას -150 ლარი, მესამეზე-200 ლარი, მეოთხეზე-250 ლარი, მეხუთეზე-300 ლარი, და ა.შ. ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას. ხოლო ტყუპების შეძენის შემთხვევაში-500 ლარი.

ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვისათვის 2 000 ლარია გამოყოფილი. ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება შეადგენს-250 ლარს.

სტიქიით დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დასახმარებლად მიმდინარე წელს 30 000 ლარია გამოყოფილი. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახთა ერთჯერადი დახმარება დაზიანების ხარისხის მიხედვით განისაზღვრება. დაზარალებულების საცხოვრებელს კომისიის წევრები ადგილზე ათავსებენ, შეისწავლიან და ანიჭებენ კატეგორიას.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სათნოების სახლი“, რომელიც 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით 87 000 ლარის დაფინანსდა. „სათნოების სახლი“ კვირაში ექვსი დღე 70 ბენეფიციარს ემსახურება. მათ რიცხვში არიან სოციალურად დაუცველები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, მოხუცები და მრავალშვილიანი ოჯახები. სასაბავშვო მუშაობს ყველა სადღესასწაულო დღეს და დღესასწაული აღინიშნება მცირედი საჭურჭლებით. **ბარიანა პურჯალიანი**

შეგახსენებთ, რომ „საგანმანათლებლო საკონსულტაციო ჯგუფი“ საკონსულტაციო-იურიდიულ მომსახურებას ახორციელებს. კომპანია საქართველოში მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებაში ეხმარება. ჯგუფი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციისათვის განათ-

ლებს სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებისა და ნოვაციების გაცნობას, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მომზადებული დოკუმენტების სამართლებრივ ექსპერტიზას, ბრძანებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას, ასევე სხვა იურიდიულ საკითხებში კონსულტაციის გაწევას. კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სკოლა შეისყიდის საკონსულტაციო ცენტრის მომსახურებას და ყოველთვიურად 100-150 ლარამდე თანხას გადაიხდის.

„საგანმანათლებლო-საკონსულტაციო ჯგუფის“ წარმომადგენლები ხარაგაულის საჯარო სკოლის დირექტორებს შეხვედრენ და სამართლებრივ მომსახურების შესყიდვაზე ისაუბრეს. იურისტები სკოლებს სამართლებრივად დაეხმარებიან, ყველაფერს, რაც ქვეყნდება საკანონმდებლო ბაზაში, შეისწავლიან და დამუშავებული სახით მიაწოდებენ სკოლებს. ასეთი მომსახურება რამდენიმე წლის წინ ჰქონდათ სკოლებს. ჩემი აზრით, ეს გამართლებულია იმიტომ, რომ სკოლის დირექტორი არ არის ფენომენალური ადამიანი და მას არ მოეთხოვება ყველაფერში ერეკვიდეს. სწორედ ამიტომაც საჭირო, რომ ჰქონდეთ იურიდიული მომსახურება. მით უმეტეს, როცა ამის უფლება, ბუნებრივად, გააჩნია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. ყველაზე მთავარი ის არის, რომ იურისტი მივა თითოეულ სკოლაში, ადგილზე გაეცნობა არსებულ პრობლემას და იმუშავებს მის აღმოფხვრაზე“ - განმარტა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დათა კიკნაძემ. **ბარიანა პურჯალიანი**

ხათილ აღამიანებს რა დალევეს ხარაგაულში

უკვე თითქმის ერთი წელია, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოუარესდა.

ხარაგაულში კეთილ აღამიანებს რა დალევეს. როცა მათთვის ჩემი მდგომარეობის შესახებ გახდა ცნობილი, მოინდომეს, მხარში ამომდგომოდნენ და მატერიალური თვალსაზრისით გაეიოლებინათ ის დიდი ტკივილი, რაც ჩემს ოჯახს აწუხებს.

არ შეიძლება მადლიერების გრძნობა არ გამოვხატო მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, ნიკა და ზურაბო ბანცაძეების ოჯახისადმი, ქალბატონების ნანა დედარაინის, ნანა ბერაძის, ქეთევან ცხოვრებაძის, კობა მყავანაძის ოჯახის, N-2 და N3 საჯარო სკოლების, ჯანდაცვის, სატყეო სამსახურის, სოციალური განყოფილებისა და თითოეული იმ აღამიანის მიმართ, რომელთა სახელობითი სია კარგადაა ცნობილი ჩემი ოჯახისათვის.

ჩემო ძვირფასო ხარაგაულელებო, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას. უფალი ფარავდეს თქვენს ოჯახებს.

ხარაგაულის მკვიდრი
ამირან კვიციანი

„საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ღირსშესანიშნო საქართველოს რკინიგზის მოღვაწისათვის პრემია წარადგინეს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ზვარის საჯარო სკოლაზე გაამაზებულა ყურადღება ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით კვიციანმა. „მესამე წელია, ზვარის საჯარო სკოლა საავალალო მდგომარეობაშია, რადგან სკოლა რკინიგზის ზოლშია მოხვედრილი სახელმწიფოს უსასყიდლო-უზურფუქტით, მისი გადმოცემა არ შეუძლია. თქვენ სამართლებრივად შეგიძლიათ, მოხსნათ მას წითელი ზოლი შესაბამისად, მოგვეცემა შესაძლებლობა, თანხა იქ მიზნობრივად დავხარჯოთ. სამი წელია, ვცდილობთ მივიღოთ დაზუსტებული პასუხი და ამას ვერ მივაღწევთ. უკმაყოფილება მინდა გამოვთქვა ასევე, ხარაგაულიდან მოლოთამდე ასახველ გზასთან დაკავშირებით. იქ მომუშავე ჩინელები ადგილზევე იღებენ მიწას და გზაზე ყრიან, რომელიც უარეს მდგომარეობას ქმნის.“

„დღევანდელი პროექტის მიხედვით ზვარის სკოლა წითელ ზოლში არ მოხვდება. დაეინყებთ სამართლებრივი გზის გამოძიებას, თუ როგორ უნდა გაიყიდეს სკოლა ჩვენი კუთვნილებიდან. რაც შეეხება გზას, რომ იქ ჩინელები თვითნებურად თხრიან მიწას, ვეტყვი, რომ ეს ალარ გააკეთონ“- მიუგო პროექტის ხელმძღვანელმა.

შეხვედრაზე კამათი იყო ზვარის მინერალურ წყლებთან დაკავშირებით. როგორც საკონსულტაციო ფორმა „გამას“ წარმომადგენელმა **ჯულია ახვლედიანი** განაცხადა, კვლევების მიხედვით მინერალურ წყალს საფრთხე არ ემუქრება. ჭაბურღილი 15 მეტრითაა დამორეზული მშენებლობიდან, თუმცა სივრცის მუდმივობის საკითხებში გამგებლის მრჩეველმა **მურმან არჯვანიძემ** სანინალმდგეგო პოზიცია დააფიქსირა.

შეხვედრის დასასრულს **გიორგი ზაზაშვილმა** შეხვედრა შეაჯამა.

„წარვადგინეთ პროექტი, რომლის მიხედვითაც ჩვენ სამშენებლო სამუშაოებს განვახორციელებთ მთლიან - ხაშურის გადასარბენზე, ასევე ხარაგაული-ზესტაფონის მონაკვეთზე. როგორც აღინიშნა, ხარაგაული - მოლითის მონაკვეთი ამ ეტაპზე გადადის უკვე პროექტირების რეჟიმში. რაც შეეხება საბოლოო ჯამში ეფექტებს, რასაც საქართველოს რკინიგზა მიიღებს, ეს არის: გაუმჯობესებული საოპერაციო საქმიანობა, ესაა ნაკლები რისკები, გაზრდილი მრუდების რაოდენობა, რაც საბოლოო ჯამში მოვლას - შენახვის ხარჯების საგრძნობი დაზოგვის შესაძლებლობას მოგვცემს.“

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები. პროექტი განხორციელების შემდეგაც ამ ვინო ხეობაში რჩება, რაც პრობლემას ქმნის ფაქტობრივად არ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ სამუშაოებისათვის ცალკე დერეფანი მოეწყოს ამ პროექტის ხასიათიდან და ტექნიკური პარამეტრებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ პრობლემებს ძალიან ხშირად ვაწყდებით და ჩვენც მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მოსახლეობას მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ მდგომარეობა. ვცდილობთ, გზები გავაუმჯობესოთ, დღეს გამოითქვა პრობლემები და ჩვენ ამას აუცილებლად შევისწავლით და შევეცდებით მოვარებას.

რაც შეეხება განსახლებას, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად მოგახსენოთ. ინტერესი ძალიან დიდია და ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ ვანვით იმ ინფორმაციას. თუმცა ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს პერიოდში შესაძლებლობა მოგვეცემა, ყოველივე უკეთ მივიტანოთ მოსახლეობამდე. წარჩენების პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენ მივიღეთ რამდენიმე ადგილას ლიცენზია გარემოს დაცვის სამინისტროდან, საუბარია დასავლეთ პორტალზე ზვარეში, ასევე აღმოსავლეთ პორტალზე მდინარე მტკვრის პირას. აქტიურად ვმუშაობთ, რომ მაქსიმალურად გვეკონდეს კონტროლი, რადგან ტექნიკურ კანონთან შესაბამისობაში ხორციელდებოდა სამშენებლო სამუშაოები. - აღნიშნა გიორგი ზაზაშვილმა.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში ტრენინგი ჩატარდა

31 იანვარს ხარაგაულის ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებულ ინოვაციების ცენტრში ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ტრენინგი ჩატარდა. კომპანია UGT-ის წარმომადგენელმა, სანდრო ქარუმიძემ, მოხსენება გააკეთა თემაზე: „ინტერნეტის შექმნის ზოგადი ისტორია და ინტერნეტის განვითარება საქართველოში“. სანდრო ქარუმიძე 2003 წლიდან მოღვაწეობს ხელმძღვანელ თანამდებობებზე საქართველოს ინტერნეტ კომპანიებსა და ინტეგრატორებში. მან დამსწრე საზოგადოებას დანერგებით უამბო ინტერნეტის შექმნის ისტორია, თუ როგორ განვითარდა ინტერნეტი და რამდენად მოხმარებადია იგი საქართველოში. ამის შემდეგ სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მოწვეულმა ტრენინგმა, ISET-ის (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა) წარმომადგენელმა და Google-ის დეველოპერთა ჯგუფის დამფუძნებელმა, ნინო უცა ნა-ნიტაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას Google-ის სერვისები და მისი შექმნის ისტორია გააცნო. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ ტრენინგში, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მათი სურვილია, მომავალში მოისმინონ ტრენინგები ვებ-გვერდების, სოციალური საიტების, აპლიკაციების შექმნის შესახებ, კოსმოსში თანამგზავრებისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ. ცენტრი შექმნილია დაგვირგად შეეცდება დააკმაყოფილოს მოსწავლეების სურვილები და მოინვიოს ტრენინგები საინტერესო თემებთან დაკავშირებით.



5 თებერვალს ამავე ცენტრში

მოსწავლეებს მულტი-პლატფორმული (unity) თამაშების შესახებაც ჩატარდათ ლექცია. ლექციას „ჯეოლოგის“ ლექტორები პავლე ტაბატაძე და ნიკოლოზ ასტამიძე კითხულობდნენ. აღნიშნული თემა ბავშვების მიერ იქნა შერჩეული რათა მათ თამაშების შექმნასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მიეღოთ. მოსწავლეებს განუმარტეს ამა თუ იმ თამაშის შექმნის პრინციპი და ის თუ როგორი პოპულარობით სარგებლობს თითოეული მათგანი.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში ჩატარდა ანსამბლ „მანდილი“ კონცერტი გაიმართა



28 იანვარს ხარაგაულის კინოთეატრში ქალთა ვოკალურ ანსამბლ „მანდილის“ კონცერტი გაიმართა. მუსიკალური ნომრები ანსამბლის წევრებმა ქართული ხალხური საკრავების თანხლებით წარმოადგინეს. „მანდილი“ არასათავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისთვის“ (ხელმძღვანელი ხათუნა მანჯავიძე) მიერ შექმნილი პროექტია და იგი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მომღერალ მანდილოსნებს აერთიანებს.

ალეკო კახიშვილი (ანსამბლის ლოტბარი): „დღეს ანსამბლ „მანდილის“ დებიუტი შედგა. მონაწილეებისთვის ამ

კონცერტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ანსამბლის წევრები ძირითადად სოფლის მცხოვრებლები არიან. მათთვის სიმღერა ერთ-ერთი საშუალება იმისა, რომ ცხოვრება გაიხალისონ. ვფიქრობ, დღეს მაქსიმალურად გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები.“

არასათავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისთვის“ ხელმძღვანელმა, ხათუნა მანჯავიძემ, პროექტის მიზნებზე ისაუბრა და ანსამბლს სამომავლოდ წარმატებები უსურვა: - „პროექტის მიზანია პოზიტივი შეიტანოს იმ ქალბატონების ცხოვრებაში, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ. ანსამბლში ისეთი მანდილოსნები არიან, რომელთაც ძალიან უყვართ სიმღერა. დღევანდელ კონცერტს საონსორი არ ჰყოლია. ჩვენი მიზანია, დავანახოთ საზოგადოებას, რომ ასეთი ინიციატივებით შესაძლებელია შევცვალოთ და გავაფერადოთ ცხოვრება ჩვენ ირგვლივ.“

მარიანა ბურჯულიანი

ხარაგაულში კვლავი პირველი ჩემპიონის გაცემისათვის



1 თებერვალს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალიტეტი ცენტრის ორგანიზებით, სასპორტო სკოლაში, სკოლებს შორის კალათბურთის ჩემპიონატი გაიმართა.

ბიჭებს შორის პირველობისთვის იბრძოდა №3 და №2 საჯარო სკოლის, ბორითის, ვარძის, ვაშლეის, ვერტყვიჭალის, ნადაბურის, ხევის, ბორის, კიცხის, მარელებისა და საღანძილის საჯარო სკოლის გუნდები. ფინალურ თამაშში, ნადაბურის სკოლის გუნდმა 7:6 დაამარცხა №3 საჯარო სკოლის გუნდი.

ვერტყვიჭალისა და ხევის საჯარო სკოლის გოგონების გუნდიდან კი, ვერტყვიჭალის გუნდმა 5:1 გაიმარჯვა.

ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მშენებლობა 2016 წელს განსახორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტთა შორის განიხილება

ზვარის ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა 2016 წელს განსახორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტთა შორის განიხილებოდა. ზვარის ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობის თემა სამომავლო განხილვებს ელოდება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი ზვარის ახალგაზრდული ცენტრის სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს:

„ძალიან აქტიური მხარდაჭერა გვაქვს ზვარის ახალგაზრდულ ცენტრთან დაკავშირებით. შესაძლებელია სახელმწიფომ აიღოს თავის თავზე ამ პროექტის დაფინანსება.“



ბა ან უკიდურეს შემთხვევაში კერძო ინვესტორების ინტერესის სფერო გახდეს. ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მშენებლობა 2016 წელს განსახორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტთა შორის განიხილებოდა. ზვარის ახალგაზრდული ბანაკის რეაბილიტაცია არაა მხოლოდ ახალგაზრდული მიმართულების პროექტი, მისი აღდგენა ხარაგაულში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.“



უკრაინული „შაპიცი“ ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში

3 იანვარს ხარაგაულის კინოთეატრში საცირკო წარმოდგენა უკრაინულმა დასმა „შაპიციმ“ (დირექტორი - სვეტლანა შაპოვა) გამართა. აღსანიშნავია, რომ დასი მთელ საქართველოში მოგზაურობს. ცირკის მსახიობებმა ბავშვებს ლამაზი საღამო აჩუქეს და არაერთი სახალისო ნომრით დაამახსოვრეს ავი. ბავშვებს სამახსოვროდ სათამაშოები გადასცეს და მათთან ერთად სხვადასხვა საცირკო ნომერი შეასრულეს.